საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-08/169

06 მარტი, 2023 წელი ქ. ბათუმი

„2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან ბსუ-ში სტუდენტთა გადმოყვანის (გარე მობილობის) წესით ჩარიცხვის შესახებ"
ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 28 თებერვლის №01-08/117 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების, „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერებათა მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების, „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილების, „კრედიტების აღიარებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ბსუ-ს სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №55 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 3 თებერვლის №01-02/16 ბრძანების, კრედიტების აღიარების შესახებ საფაკულტეტო კომისიის დასკვნის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის, 2023 წლის 1 მარტის MES 7 23 0000241479 სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან ბსუ-ში სტუდენტთა გადმოყვანის (გარე მობილობის) წესით ჩარიცხვის შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 28 თებერვლის №01-08/117 ბრძანების N1 **დანართში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:**

ა) საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტ **სოფიკო იაკუბიძის ნაწილში** (47-ე გრაფა) 30 კრედიტის ნაცვლად **მიეთითოს 29 კრედიტი** (აღიარებული კრედიტები-წინამდებარე ბრძანების დანართი 1);

ბ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტ **მარიამი ტყებუჩავას ნაწილში** (57-ეგრაფა) 159 კრედიტის ნაცვლად **მიეთითოს 150 კრედიტი** (აღიარებული კრედიტები-წინამდებარე ბრძანების დანართი 2);

გ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტ **ნინო ტუღუშის ნაწილში** (56-ეგრაფა) 189 კრედიტის ნაცვლად **მიეთითოს 187 კრედიტი** (აღიარებული კრედიტები-წინამდებარე ბრძანების დანართი 3);

დ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტ **ლინდა რევაზიშვილის ნაწილში** (53-ეგრაფა) 104 კრედიტის ნაცვლად **მიეთითოს 103 კრედიტი** (აღიარებული კრედიტები-წინამდებარე ბრძანების დანართი 4);

ე) საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტ **მარიამ სურმანიძე ნაწილში** (54-ეგრაფა) 158 კრედიტის ნაცვლად **მიეთითოს 154 კრედიტი** (აღიარებული კრედიტები-წინამდებარე ბრძანების დანართი 5);

ვ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტ **ლალი კოპტონაშვილის** ნაწილში (49-ეგრაფა) სწავლის საფასურად 2250 ლარის ნაცვლად **მიეთითოს 3000 ლარი.**

№	სტუდენტის სახელი და გვარი	სტუდენტის პირადი ნომერი	აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური	აღიარებული კრედიტი	ძირ. საგანმანათ. ერთეული(ფაკულტეტი)	პროგრამა	სემესტრი	სწავლის წლიური საფასური (ლარი)
47	სოფიკო იაკუბიძე		ბაკალავრიატი	29	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის	ბიოლოგია	II	2250

57	მარიამი ტყებუჩავა		ბაკალავრიატი	150	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის	ბიოლოგია	VI	2250
56	ნინო ტუღუში		ბაკალავრიატი	187	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის	ბიოლოგია	VI	2250
53	ლინდა რევაზიშვილი		ერთსაფეხურიანი სამედიცინო	103	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის	მედიცინა	IV	2250
54	მარიამ სურმანიძე		ბაკალავრიატი	154	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის	ფიზიკური მედიცინა და სამედიცინო რეაბილიტაცია	VI	2250

2. წინამდებარე ბრძანება აისახოს საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრში და წარდგენილ იქნას საჯარო სამართლის იურიდიული პირი-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

3. ბრძანება აისახოს ბსუ-ს სასწავლო პროცესის ელექტრონულ სისტემაში, სტუდენტური პორტალის მეშვეობით დაეგზავნოს ბრძანებაში აღნიშნულ სტუდენტებს და განთავსდეს მათ პირად საქმეებში.

4. ბრძანება აღსასრულებლად და გასაცნობად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (ფაკულტეტს-სტუდენტების პირად საქმეში ასახვის მიზნით, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს).

5. . ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში(ს. ზუბალაშვილის ქ. №30) მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**